გამოიცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ნიკოლეიშვილის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ელგუჯა შაფაქიძის მონოგრაფია „საქართველოს მეაბრეშუმეობა-პრობლემები, რეაბილიტაცია, აღორძინება“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. 2016 წ. 260 გვ.



ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის მდგომარეობის კომპლექსურ გამოკვლევას - ისტორიული, სამეურნეო, ორგანიზაციული, სამეცნიერო საქმიანობის ასპექტების, ძირითადი ნიშნების, თავისებურებების, ტენდენციების გამოვლენა-შეფასებას. ნაშრომის მიზანია მეაბრეშუმეობის თანამედროვე მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით, დარგის რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შემუშავება და მისი განხორციელების წინაპირობების განსაზღვრა. მონოგრაფიაში მოცემულია კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსების, რეორგანიზაციისა და სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის საკითხები, მსოფლიო მეაბრეშუმეობის მოკლე მიმოხილვა, საქართველოში მეთუთეობის მდგომარეობა 1964 წლამდე (თუთის ავადობის „ფოთლის სიხუჭუჭის“ გავრცელებამდე) და შემდგომ პერიოდში, საქართველოს საგრენაჟო წარმოების მოკლე მიმოხილვა, მეაბრეშუმეობის და მეთუთეობის მექანიზაციის და თუთის ნარგაობის მრავალმიზნობრივი გამოყენების საკითხები და სხვ. მონოგრაფია განკუთვნილია ფერმერების, ინვესტორების, მეაბრეშუმეობის დარგით დაკავებულ მეცნიერთათვის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის.